



ინფორმაციის კომისიონერთა საერთაშორისო გამოცდილება

(კვლევა თარგმნილია ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ“)



სარჩევი:

კომისიონერთა კვალიფიკაცია და თანამდებობაზე დანიშვნა	3
სახელმწიფო ბაჟი	4
პერსონალური ელ. ფოსტის გამოყენებით მიღებული და გაგზავნილ ინფორმაციის საჯაროობა	5
კერძო სამართლის იურიდიული პირები	5
ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერთა მიერ განცხადებების განხილვის ვადა	6
არაგონივრული, ზეპირი და სოციალური ქსელებით გაგზავნილი განცხადებები	6
– ზეპირი განცხადებები	7
– სოციალური ქსელების საშუალებით წარდგენილი განცხადებები	7
– არაგონივრული მოთხოვნები	7
საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი	8
– კომისიონერთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად სავალდებულო/სარეკომენდაციო ხასიათი	9
– ქმედებები რომლებსაც კომისიონერები ახორციელებენ განცხადებაში/საჩივარში მოცემული გარემოებების დადგენის მიზნით	9
გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება	10
თანამშრომლობა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში	10
შეჯამება	10

ინფორმაციის კომისიონერთა საერთაშორისო გამოცდილება

ინფორმაციის თავისუფლების ცენტრი არის შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერისა და დანდეს უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებას ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების ყოფილი კომისიონერი კევინ დანიონი, IDFI-ს რეკომენდაციით და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მოწვევით აქტიურად იყო ჩართული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ახალი კანონის შემუშავებაში. ქვემოთ მოცემული კვლევა ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერთა საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რომ ახალი კანონის მიღებასთან ერთად ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტის შექმნა იგეგმება საქართველოშიც.

ინფორმაციის თავისუფლების ცენტრმა 2013 წელს ჩაატარა კვლევა და შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერთა გამოცდილება.¹ ინფორმაციის კომისიონერთა საერთაშორისო ქსელის მეშვეობით მათ გაეგზავნათ კითხვები, მიღებული პასუხების საფუძველზე კი შედგენილ იქნა სტატისტიკური მონაცემები. კვლევა სწორედ აღნიშნული მონაცემების შესახებ აწვდის მკითხველს ინფორმაციას. კერძოდ ის ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა კომისიონერთა თანამდებობაზე დანიშვნა, თანამდებობაზე დანიშვნის ვადა, ბაჟი, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვადა, კომისიონერთა გადაწყვეტილებების სამუშაო ვერსიების გაზიარება, გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება, სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პერიოდში გამოკითხულ იქნა 34 ქვეყნის წარმომადგენელი (იხ.დანართი). ამასთან იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არის შექმნილი ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტი, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატმა.

კომისიონერთა კვალიფიკაცია და თანამდებობაზე დანიშვნა

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ იმ ქვეყნების 45%-ში სადაც კომისიონერის ინსტიტუტი ფუნქციონირებს არ არის კანონით განსზღვრული თუ რა კვალიფიკაციას უნდა ფლობდეს კომისიონერი. რიგ ქვეყნებში კომისიონერის თანამდებობაზე დასანიშნად აუცილებელია კანდიდატს ქონდეს იურიდიული განათლება ამასთან, მაგალითად სლოვაკეთში კომისიონერის თანამდებობაზე ვერ დაინიშნება უცხო ქვეყნის მოქალაქე. რიგ

¹ <http://www.centrefoi.org.uk/research.php>.

ქვეყნებში კომისიონერის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა ეზღუდებათ, პირებს რომლებიც 5 წლის განმავლობაში იყვნენ პოლიტიკური პარტიის ლიდერები. აღნიშნული პოზიციის დაკავება იზღუდება ასევე ნასამართლეობის მქონე პირებისთვის. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა წარმოადგენდა თუ არა ეს კანონმდებლობის მოთხოვნას, გამოკითხულ კომისიონერთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ისინი ფლობდნენ იურიდიულ განათლებას.

რაც შეეხება კომისიონერთა თანამდებობაზე დანიშვნის ვადებს, გამოკითხვის თანახმად კომისიონერები, როგორც წესი ოფისის კონკრეტულად განსაზღვრული ვადით (5–7 წელი) იკავებდნენ. რიგ ქვეყნებში მაგალითად დანიაში კომისიონერი უფლებამოსილებას 10 წლის ვადით ახორციელებს. ამასთან ქვეყნების უმრავლესობაში კომისიონერი თანამდებობაზე შესაძლებელია განმეორებით დაინიშნოს, თუმცა მხოლოდ ერთხელ.

სახელმწიფო ბაჟი

გამოკითხულ კომისიონერთაგან მხოლოდ სამი ქვეყნის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განმცხადებლებს ეკისრებოდათ ბაჟის გადახდის ვალდებულება კომისიონერისთვის საჩივრით/განცხადებით მიმართვისას. აღნიშნულ ქვეყნებს ავსტრალია, კანადა და ირლანდია წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ბაჟის ოდენობას კანადაში ის 5 აშშ დოლარის ექვივალენტია, ირლანდიაში და ავსტრალიაში კი გადასახადი შესაბამისად 20 და 30 აშშ დოლარს უტოლდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კომისიონერთა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის გამართლებული განმცხადებლებისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების დაკისრება. გამოკითხულ კომისიონერთა 61% აღნიშნავდა, რომ ისინი არ ემხრობიან სახელმწიფო ბაჟის არსებობას. აღნიშნულის მიზეზად კი ის სახელდება, რომ გადასახადი წარმოადგენს დამატებით ბარიერს, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კონკრეტულ პირებს კომისიონერისადმი მიმართვაში. ამასთან კომისიონერთა 2/3-ის განმარტებით აღნიშნული მოსაკრებლიდან კომისიონერის ოფისში შესულ შემოსავალი არის უმნიშვნელო. აღსანიშნავია, რომ კომისიონერთა მხოლოდ 4%-მა განაცხადა, რომ ისინი სრულებით ემხრობოდნენ ბაჟის არსებობას. მიზეზად კი ის დასახელდა, რომ ბაჟის არსებობის შემთხვევაში განმცხადებლები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავდნენ კომისიონერს საჩივრით, თუკი ეს მართლაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მათთვის და ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა მათ კანონიერ ინტერესს.

პერსონალური ელ. ფოსტის გამოყენებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის საჯაროობა

ბოლო პერიოდში რიგ ქვეყნებში გამოითქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო მოხელეები, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირები (მინისტრები) ხშირ შემთხვევაში ოფიციალური კომუნიკაციის განხორციელებისას იყენებენ პირად და არა სამსახურეობრივ ელ. ფოსტას. ამ გზით მოხელეები ცდილობენ გამორიცხონ საკუთარი კომუნიკაცია ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან. კვლევის პერიოდში, კომისიონერებს დაუსვეს შეკითხვა თუ რამდენად უნდა ყოფილიყო თანამდებობის პირების მიერ პერსონალური ელ. ფოსტის მეშვეობით განხორციელებული ოფიციალური მიმოწერა ღია (აღსანიშნავია, რომ სამსახურეობრივი ელ. ფოსტით განხორციელებული კომუნიკაცია განიხილება, როგორც ინფორმაციის თავისუფლების სფერო). გამოკითხულთა 52% აღნიშნავდა, რომ ინფორმაცია მიუხედავად იმისა, რომ ის გადაცემული და მიღებული იყო პირადი ელ. ფოსტის მეშვეობით წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას და შესაბამისად მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო განმცხადებლისთვის. ხშირ შემთხვევაში კომისიონერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია მათი კანონმდებლობის თანახმად უდავოდ ხვდებოდა საჯარო ინფორმაციის განმარტების ქვეშ მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით იყო ის მიღებული თუ გაგზავნილი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ქვეყნების მიდგომა ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. კერძოდ რიგ ქვეყნებში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა ვრცელდება კომპანიათა შეზღუდულ რაოდენობაზე, რომლებიც ტრადიციულად დაფუძნებული იყო სახელმწიფოს მიერ ან წარმოადგენდა კვაზი-მონოპოლისტს ბაზარზე. სფეროები, რომლებშიც ეს იურიდიული პირები საქმიანობენ კი ძირითადად ტრანსპორტს, კომუნიკაციებს, ჯანმრთელობის დაცვა და ენერჯეტიკას შეეხება. სხვა ქვეყნებში ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობას ბევრად ფართო მოქმედების წრე აქვს. ამ ქვეყნებში კანონით არ არის დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმი იმ კერძო სამართლის იურიდიული პირებისა, რომლებზეც ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა და ამის ნაცვლად ის კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაზეა დამოკიდებული. ამასთან მაგალითად მექსიკის კანონმდებლობა მითითებას აკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღებაზე და აღნიშნავს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირები რომლებიც იღებენ დაფინანსებას ცენტრალური თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან კანონის მიზნებისთვის საკუთარ ვალდებულებებში უთანაბრდებიან ადმინისტრაციულ ორგანოებს.

ხაზგასასმელია ასევე ესტონეთის კანონმდებლობა, რომელიც კერძო კომპანიებს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ აქცევს იმ შემთხვევაში თუ იურიდიული პირი იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან თუ საქმე ეხება ბაზარზე დომინირებულ პოზიციაზე მყოფ მონოპოლისტურ კომპანიას.

ზემოთქმულზე არანაკლებ მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ რამდენად ასრულებენ კერძო სამართლის იურიდიული პირები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გამოკითხულ კომისიონერთა 63% აღნიშნავდა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირები როგორც წესი არ ასრულებენ კანონის მოთხოვნებს, ან საერთოდ არ არიან ინფორმირებული მსგავსი ვალდებულების არსებობის შესახებ.

ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერთა მიერ განცხადებების განხილვის ვადა

ინფორმაციის კომისიონერთა მიერ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვადაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნების მესამედში სადაც შექმნილია ინფორმაციის კომისიონერის ინსტიტუტი, ისინი კანონმდებლობით არ არიან შეზღუდული კონკრეტული პერიოდის გასვლამდე მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით. იმ ქვეყნების უმრავლესობაში სადაც კანონი ითვალისწინებს მსგავს ვადას, ისინი როგორც წესი საკმაოდ ფართოა, უტოვებს რა კომისიონერის ფართო დისკრეციას თავად განსაზღვროს გადაწყვეტილების მიღების საბოლოო თარიღი. კომისიონერთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის უმოკლესი ვადა 3 დღე ხოლო ყველაზე ხანგრძლივი კი 380 დღე იყო. ამასთან კომისიონერთა 39%-ის განმარტებით განცხადებების განხილვის საშუალო ვადა 1–50 დღის ფარგლებში მერყეობს. 4 კომისიონერის მიერ კი მითითებულ იქნა, რომ ისინი საჩივრებს საშუალოდ 300–380 დღის ვადაში განიხილავდნენ.

არაგონივრული, ზეპირი და სოციალური ქსელებით გაგზავნილი განცხადებები

საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებებთან დაკავშირებით კვლევა მოიცავს გამოკითხვის შედეგებს სოციალური ქსელების საშუალებით წარდგენილ განცხადებებისა და ზეპირ განცხადებებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ. კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ასევე

დათმობილი საკითხს არაგონივრული განცხადებების საკანონმდებლო რეგულაციებისა და პრაქტიკის შესახებ.

– ზეპირი განცხადებები

გამოკითხულ კომისიონერთა 45% აღნიშნავდა, რომ მათი კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადება არ შეიძლება წარდგენილ იქნას ზეპირი ფორმით. მიუხედავად ამისა მრავალი სხვა ქვეყანა იცნობს განცხადების ზეპირი ფორმით გაკეთების შესაძლებლობას. ხორვატიასა და ისლანდიაში მაგალითად ზეპირი განცხადების მიმღები დაწესებულება ვალდებულია ჩაიწეროს განცხადება განმცხადებლის სახელით და შესაბამისად გასცეს საჯარო ინფორმაცია. რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობით ზეპირი განცხადებით საჯარო დაწესებულებებისთვის მიმართვა მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებშია შესაძლებელი. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი მსგავს შესაძლებლობას იცნობს ისეთ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გარემოს მდგომარეობას. კანადაში კი აღნიშნული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით შემოიფარგლება.

– სოციალური ქსელების საშუალებით წარდგენილი განცხადებები

კომისიონერთა მოსაზრებები გაიყო სოციალური ქსელების საშუალებით წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით. კერძოდ გამოკითხულ კომისიონერთა 30% მიუთითებდა, რომ სოციალური ქსელების საშუალებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას არ ქონდა სამართლებრივი ძალა. მიუხედავად ამისა კომისიონერთა მესამედი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ასეთი სახით წარდგენილი განცხადებები იყო სამართლებრივი ძალის მქონე და დაწესებულება ვალდებული იყო გაეცა შესაბამისად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მიღებულია სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის თანახმადაც „იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებას აქვს შექმნილი შესაბამისი ოფიციალური გვერდი Facebook-ზე ან Twitter-ზე, ამ გვერდებზე სოციალური ქსელების საშუალებით მიღებულ განცხადებებს აქვს სამართლებრივი ძალა“, შესაბამისად საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე გასცეს საჯარო ინფორმაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სოციალური ქსელის საშუალებით წარდგენილი განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლის ვინაობის და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ (შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ელ. ფოსტით).

– არაგონივრული მოთხოვნები

ადმინისტრაციული ორგანოები ხშირად გამოთქვამენ წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ რიგ შემთხვევებში ხდება საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ უფლების ბოროტად გამოყენება. სწორედ ამიტომ კვლევის ფარგლებში კომისიონერებს დაუსვეს შეკითხვა თუ, როგორ რეგულირდებოდა აღნიშნული საკითხი მათი ქვეყნის კანონმდებლობით.

გამოკითხულ კომისიონერთა დაახლოებით ¾ მიუთითებდა იმაზე, რომ მათი კანონმდებლობა მოიცავდა დათქმას იმასთან დაკავშირებით, რომ არაგონივრული, არაეთიკური ან ზედმეტად მოცულობითი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გასცეს საჯარო ინფორმაცია. არაგონივრულების ტესტის ჩატარებისას კი კომისიონერები ძირითადად ითვალისწინებდნენ იმას, თუ რა ვადა და ადამიანური რესურსი იქნებოდა აუცილებელი განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გასაცემად.

მაგალითად, **აზერბაიჯანში** მნიშვნელოვანია, რომ განცხადებაზე პასუხის გაცემა არ მოითხოვდეს შეუსაბამოდ დიდი დროისა და რესურსის დახარჯვას და შესაბამისად არ აფერხებდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობასა და ფუნქციონირებას. **ესტონეთის** კანონმდებლობის თანახმად კი „საჯარო დაწესებულებას აქვს უფლება არ გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია, იმ შემთხვევაში თუ მისი გაცემა მოითხოვს დაწესებულების სამუშაო პროცესის ორგანიზების შეცვლას, დააბრკოლებს მის ფუნქციონირებას, ხელს შეუშლის დაწესებულების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებას ან მისი გაცემა დაკავშირებულია შეუსაბამოდ დიდ ხარჯებთან“. აღნიშნული ქვეყნების მიდგომისგან განსხვავდება **შეერთებულ შტატებში** დამკვიდრებული პრაქტიკა. კერძოდ საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის დასაბუთება, მის დიდ მოცულობაზე მითითებით ძალზე შეზღუდულია. **ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ყურადღება ექცევა იმას შეეცადა თუ არა განმცხადებელი საჯარო დაწესებულების მითითების შემდეგ გონივრულ ფარგლებში შეემცირებინა მოთხოვნა ან საჯარო დაწესებულებასთან ერთობლივი მუშაობის პროცესში შეთანხმებულიყო მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების დამატებითი ვადებზე.**

საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიონერები, როგორც წესი მიმართავენ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ითხოვენ მათგან ინფორმაციის მოწოდებას. კერძოდ გამოკითხულ კომისიონერთა 54%-ის თანახმად ისინი ყოველთვის ითხოვენ საჯარო დაწესებულებებისგან ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო 33% კი მიუთითებდა, რომ ისინი ხშირად მიმართავდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებს მათგან საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით.

მნიშვნელოვანია საკითხი კომისიონერთა გადაწყვეტილებების სამუშაო ვერსიების ხელმისაწვდომის შესახებ. ამ მხრივ კომისიონერთა მიდგომა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მათი უმრავლესობა გადაწყვეტილებათა სამუშაო ვერსიებს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს არ ხდის. კომისიონერთა დაახლოებით მესამედი აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილებათა სამუშაო ვერსიები ხელმისაწვდომია, ხოლო 12% კი

მიუთითებდა, რომ ისინი ხელმისაწვდომი მხოლოდ პროცესში ჩართული საჯარო დაწესებულებებისთვის არის.

– **კომისიონერთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად სავალდებულო/სარეკომენდაციო ხასიათი**

ინფორმაციის კომისიონერთა მიერ საჩივრების განხილვის საკითხზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მათი გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათის შესახებ. კერძოდ იმ ქვეყნების 76%-ში სადაც შექმნილია კომისიონერის ინსტიტუტი საჩივრებთან დაკავშირებით მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვთ სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა. როგორც კვლევამ აჩვენა, კომისიონერთა 24% (მათ შორის საქართველო) იყო შეზღუდული მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების გამოცემით. ამასთან კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო დაწესებულებები ნაკლებად ასრულებენ იმ კომისიონერთა გადაწყვეტილებებს რომლებსაც მხოლოდ რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება გააჩნიათ. შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონმდებლობის მიღების პროცესში მნიშვნელოვანი უპირატესობა მიენიჭოს ისეთი საზედამხედველო ორგანოს შექმნას, რომლის გადაწყვეტილებებისაც შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ექნება.

– **ქმედებები რომლებსაც კომისიონერები ახორციელებენ განცხადებაში/საჩივარში მოცემული გარემოებების დადგენის მიზნით**

კვლევის ფარგლებში ყურადღება იქნა გამახვილებული იმ ღონისძიებებზე რომლებსაც კომისიონერები მიმართავენ განცხადებებსა და საჩივრებში მითითებული გარემოებების დადგენისა და გამოკვლევის მიზნით. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიონერთა 88% ატარებს საჯარო დაწესებულებაში დაცული იმ ინფორმაციის შემოწმებას, რომლის გაცემაზეც უარი ეთქვა განმცხადებელს. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ქვეყნებში კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით კომისიონერის აქვს უფლება დამატებით მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ჩვენების მიღება ფიზიკური პირებისგან, ფიცის დადება, საჯარო მოსმენების ჩატარება, ადგილის დათვალიერება. ამასთან საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით კომისიონერებს მინიჭებული აქვთ უფლება დააჯარიმონ ან სხვა სახის სანქცია დაუწესონ საჯარო დაწესებულებებს იმ შემთხვევაში თუ ისინი არ შეასრულებენ კომისიონერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. გამოკითხულ კომისიონერთაგან 14 მიუთითებდა, რომ მათ კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ მსგავსი უფლებამოსილება. ამასთან პრაქტიკაში მხოლოდ 11 მიმართავდა მსგავს ღონისძიებას, ხოლო სამმა კი აღნიშნა რომ ჯარიმა ან სხვა სხვის სანქცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არასდროს დაუწესებია.

გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება

კომისიონერთა უდიდესი უმრავლესობა (94%) საჩივრებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს საჯაროდ აქვეყნებს. კვლევის პერიოდში მხოლოდ ერთმა კომისიონერმა მიუთითა, რომ მას კანონით აკრძალული ქონდა გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება. ამასთან, კომისიონერთა უმრავლესობა საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის მოპასუხე საჯარო დაწესებულებათა სახელწოდებებს. რაც შეეხება განმცხადებელთა ვინაობას, ის ღია მხოლოდ ქვეყნების 1/3-ში არის. აღსანიშნავია ასევე, რომ გამოკითხულ კომისიონერთა 33% მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილებები ქვეყნდებოდა რედაქტირებული სახით, რედაქტირების მთავარ მიზეზად კი გადაწყვეტილებაში მოცემული პერსონალური მონაცემების დაფარვა სახელდებოდა.

თანამშრომლობა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერთა ჩართულობა ღია მმართველობის პარტნიორობის საქმიანობაში. გამოკითხულთა 36% აღნიშნავდა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი აღნიშნულ ინიციატივაში, ხოლო 21%-ის განცხადებით კი მათ საერთოდ არ ქონდათ შეხება აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებთან. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ კომისიონერთა 79% გამოთქვამდა მომავალში ღია მმართველობა პარტნიორობის საქმიანობაში მეტი ჩართულობის სურვილს. ამასთან, კომისიონერთა 2/3-ზე მეტი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა გაზრდიდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხს ეროვნულ ისევე, როგორც საერთაშორისო დონეზე.

შეჯამება

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოცემული პერიოდისთვის, როდესაც საქართველოში იგეგმება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მიღება და მზადების ეტაპზეა ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავცნოთ მოცემული კვლევის მიგნებებს. კვლევაში მოცემული დაკვირვებები საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერთა გამოცდილების შესახებ გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე ინსტიტუტის ქართულ რეალობაში დანერგვის პროცესში. ამ გზით შესაძლებელი იქნება თავიდან იქნეს აცილებული ის ხარვეზები, რომლებთან დაკავშირებითაც სხვადასხვა ქვეყნის კომისიონერები გამოთქვამდნენ წუხილს.